ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5524719

ნომერი: AR1832744

თარიღი : 21.06.2021

გაცემის თარიღი : 29.07.2021

გაცნობის თარიღი : 29.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოლეგ სამხარაძე პ/ნ 54001011248
- მუხიანი მე-3 მკრ.

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სავაჭრო ობიექტები
  - პავილიონი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
საპროექტო შენობა თავისი ვიზუალიდან გამომდინარე შეუსაბამობაშია მითითებულ ფუნქციასთან, საჭიროა შეიცვალოს საპროექტო ობიექტის ესკიზი, ამასთან მოგახსენებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი საპროექტო ობიექტი-პავილიონი, არსებული მიწის ნაკვეთის მხოლოდ მცირე ნაწილზეა შესაძლებელი განთავსდეს.
ასევე წარმოდგენილი გეოლოგია ვერ ჩაითვლება მისაღებად რადგან არ არის წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას საექსპერტო შეფასება და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასების ექსპერტის აღნიშნულ დარგში კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი რეზიუმეთი (10 წლიანი გამოცდილებით), უკვე წარმოდგენილ დოკუმენტთან ერთად, აქვე უნდა აღინიშნოს რომ სამსახურში დაცული მონაცემებიდან გამომდინარე, ტერიტორია მდებარეობს გეოლოგიური საფრთხეების განვითარების მაღალი რისკის ზონაში და წარმოდგენილ გეოლოგიურ დოკუმენტაციაში განმარტებული და მითითებული უნდა იქნას ხომ არ არის რაიმე დამცავი ღონისძიების გატარების საჭიროება, საჭიროების შემთხვევაში კი აისახოს საპროექტო დოკუმენტაციაში.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 სამუშაო დღე. აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.